## სკოლის მისია

პოზიტიურ და უსაფრთხო სასკოლო გარემოში აღვზარდოთ სოციალურად აქტიური და კრიტიკულად მოაზროვნე თაობა, რომელიც განვითარდება სწავლის სწავლაზე ორიენტირებით, ამ მნიშვნელოვან პროცესს კი თემთან თანამშრომლობით წარმართავს ნოვატორი, თვითკრიტიკული და თანამშრომლობითი უნარის მქონე მასწავლებელი

## სკოლის ხედვა

2030 წლისთვის სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა გაიზრდება და მიაღწევს 1700-ს." ჩვენ გავხდებით რეგიონში აღიარებული დაწესებულება. მოსწავლეთა საჭიროებებზე მუდმივი დაკვირვებითა და მათი დაკმაყოფილებით მივაღწევთ აკადემიურ პროგრესს - სკოლის კურსდამთავრებულთა 50% მოიპოვებს სახელმწიფო გრანტს; სკოლა გახდება ღია ორგანიზაცია, ითანამშრომლებს სკოლის საზოგადოებასთან და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან. სკოლა გააძლიერებს მოსწავლეთა არაფორმალური გაერთიანებების, სასკოლო თვითმმართველობისა და მათი ინიციატივების განვითარება-მხარდაჭერას. იზრუნებს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასა და ურთიერთთანამშრომლობით გარემოზე.

## სკოლის ღირებულებები

სკოლა ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- ✓ **გამჭირვალობა:** ჩვენი საქმიანობა, ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისათვის, უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.
- ✓ **თანამშრომლობა:** ჩვენ ღია ვართ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განვიხილავთ სიახლეებს, წინადადებებს, განსხვავებულ პოზიციებსა და ორიენტირებულნი ვართ პრობლემების გადაჭრაზე.
- ✓ **ობიექტურობა:** ჩვენ მიერ განხორციელებული შეფასებები, ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ფაქტობრივ გარემოებებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს.
- ✓ **განვითარება და ინოვაციურობა:** სისტემატურად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების ინოვაციურ გზებს. არ ვერიდებით სიახლეების დანერგვას.